

თხრობის უნარის შეფასება ტიპიური განვითარებისა და განვითარების  
სხვადასხვა დარღვევის მქონე ბავშვებში

მარიკა არევაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების  
თერაპევტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა - კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია  
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათით ჭინჭარაული, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## ანოტაცია

თხრობა ეს არის ერთმანეთთან კაუზალურად დაკავშირებული მოგონილი ან რეალური მოვლენების ერთობლიობა, რომელიც ფოკუსირდება კონკრეტული თემის ირგვლივ და გადმოიცემა ზეპირი, ან წერილობითი გზით (Boudreau 2007, Kavanaugh & Engel 1998, Nelson 1996). ყოველდღიური კომუნიკაციის და სოციალური ინტერაქციის პროცესში ადამიანები აქტიურად ვიყენებთ თხრობის უნარს. გასაკვირი არაა, რომ თხრობის უნარის კვლევა საკმაოდ პოპულარულია, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი ბავშვების შემთხვევაში. თუმცა, ქართულენოვანი ბავშვების თხრობის უნარის შესახებ მწირი ინფორმაცია გვაქვს. ქართული და ინგლისური ლინგვისტური სისტემა სტრუქტურულად განსხვავდება ერთმანეთისგან. ბუნებრივია, ინგლისურენოვანი ბავშვების თხრობის მახასიათებლებს ავტომატურად ვერ განვაზოგადებთ ქართულენოვან ბავშვებზე. ხოლო ტიპიური განვითარების მქონე ქართველი ბავშვების გარდა, საქართველოში გვყავს განვითარების სხვადასხვა დარღვევის მქონე ბავშვები, რომელთაც სპეციფიკური საჭიროებები აქვთ ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის ჭრილში. მათი თხრობის უნარის შესახებ ასევე არ ვფლობთ ინფორმაციას. სწორედ ამ ინფორმაციული დეფიციტის გამო, გაჩნდა იდეა გვეკვლია თხრობის უნარი 7-დან 9 წლამდე ასაკის ტიპიური განვითარების, აუტისტური სპექტრის აშლილობისა და ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებში.

კვლევის შედეგების მიხედვით, 7-დან 9 წლამდე ასაკის ინტელექტუალური განვითარების დარღვევისა და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვები მსგავსნი არიან თხრობის ლინგვისტური და პრაგმატული სტრუქტურით. ხოლო 7-დან 9 წლამდე ასაკის ტიპიური განვითარების და ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე ბავშვები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მეტად თხრობის ლინგვისტური, ვიდრე პრაგმატული სტრუქტურით. შესაბამისად, ენისა და მეტყველების თერაპიის პროცესში რეკომენდებულია ორიენტირება სწორედ თხრობის ლინგვისტური სტრუქტურის გაუმჯობესებაზე. რაც შეეხება 7-დან 9 წლამდე ასაკის ტიპიური განვითარებისა და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებს, ისინი თანაბრად განსხვავდებიან თხრობის პრაგმატული და ლინგვისტური სტრუქტურების თვალსაზრისით. თერაპიის

დროს რეკომენდებულია ყურადღების გადანაწილება თხრობის ამ ორ განსხვავებულ ასპექტზე. კვლევამ ასევე გამოავლინა უარყოფითი კორელაცია ეკრანთან გატარებულ დროსა და წინადადებებით საუბრის დაწყების ასაკს შორის. ეს უკანასკნელი კორელაციურ კავშირშია აგრეთვე თხრობის პრაგმატული და ლინგვისტური სტრუქტურების კომპონენტებთან. რაც შეეხება ტიპიური განვითარების მქონე ბავშვებს. მათი თხრობის უნართან დაკავშირებით გაჩნდა ერთი საინტერესო ვარაუდი. კვლევის მიხედვით, შესაძლოა, ტიპიური განვითარების მქონე ქართველი ბავშვების თხრობის უნარი ჩამორჩებოდეს ინგლისურენოვანი ბავშვების თხრობის უნარს. თუმცა, ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა და საჭიროებს დადასტურებას ან უარყოფას ახალი კვლევით, რომელიც თხრობის უნარის შესაფასებელი ინსტრუმენტის ქართველ პოპულაციაზე მორგებით იქნება დაინტერესებული

# **Narrative Language in typically developing children and in children with developmental disorders**

M.Arevadze

## **Abstract**

Narratives are spoken (or written) fictive- or real life-based depictions of causally related events that focus on a particular theme and together form a complete wholeness (Boudreau 2007, Kavanaugh & Engel 1998, Nelson 1996). We need narration in everyday communication process, during social interaction or just for expressing our thoughts and emotions. It's really important skill and that's why, exploring narrative is popular among scientists, especially in English speaker children. But our knowledge about Georgian children's narrative abilities is really limited. Linguistic structure of English and Georgian languages, really differ from each other. So, we can not generalize English speakers narrative features to Georgian ones. Except children with typical development, in Georgia we have children with special needs in language and in communication. We have no information about their narrative abilities either. From these informational deficits, aroused the idea of exploring narrative skill in 7 to 9 years old typically developing children, children with autism spectrum disorder and children with intellectual development disorder.

According to our research's results, 7 to 9 years old children with intellectual developmental disorder and with autism spectrum disorder, have the same pragmatic and linguistic structures of narration. Children with intellectual developmental disorder from the same age group, differ from typically developing peers more in narration's linguistic structure, then in pragmatic features. Regarding children with autistic spectrum disorders, they have the same grade difficulties in narration's pragmatic and linguistic structure. Also, our research found a negative correlation between screen time and the age of first sentences. This last one was in negative correlation with narration's pragmatic and linguistic components too. At last, while comparing typically developing Georgian children's story grammar to English native speaker peers, aroused a doubt about typically developing Georgian children's narrative competence. But, it's a question for a new research, which will be oriented on creating standardized instrument for assessing Georgian children's narrative language.